ᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲠᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲕᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 301 (12509) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.



ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ. ᲣᲐᲚᲚᲝᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

„ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, — ᲗᲥᲕᲐ Ე. Ბ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲐ ᲡᲙᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛ. — ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲓᲔᲜᲔᲜ ᲨᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲓᲔᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲒᲓᲔᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲧᲚᲘᲡᲘᲠᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡᲗᲐᲕᲘᲡ“.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, — ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲣᲐᲠᲧᲝᲗ ᲛᲘᲜᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲐᲛᲬᲘᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲐᲓᲐᲒᲝ ᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲕᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 301 (12509) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა უკრაინის სსრ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების თათბირი. თათბირს დაესწრნენ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, მინისტრები, პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა პ. ე. შელესტმა და ვ. გ. კომიახოვმა დამსწრეთ უამბეს, როგორ ხორციელდება რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, როგორ მიმდინარეობს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და სომხეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის დარგში. მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ო. მ. ბაღდასარიანმა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

განხილულ საკითხზე მიღებული ი ა ვრცელი გადაწყვეტილებანი.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. არჩეულია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. დამტკიცებულია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა. ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ტ. არუთინიანი.

პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა. ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. მელქონიანი.

პლენუმმა აირჩია ე. ტ. ასცატრიანი სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და დაამტკიცა იგი სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲣᲛᲬᲘᲙᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ:

1. **ᲐᲯᲘᲛᲝᲕᲘ** იური ეგნატეს-ძე — კაპიტანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
2. **ᲒᲐᲚᲣᲨᲙᲝᲕᲘ** ლევან ვართანის-ძე — პოლკოვნიკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
3. **ᲒᲝᲜᲒᲐᲫᲔ** უშანგი მოსეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
4. **ᲒᲠᲐᲮᲝᲕᲘ** ივანე ნიკოლოზის-ძე — კაპიტანი, სამხედრო მოსამსახურე
5. **ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ** დავით ეგნატეს-ძე — ტექნიკური სამსახურის პოდპოლკოვნიკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
6. **ᲓᲐᲠᲯᲐᲚᲘᲐ** გიორგი ალექსანდრეს-ძე — პოდპოლკოვნიკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
7. **ᲓᲔᲛᲣᲠᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ირაკლი ივანეს-ძე — საინტენდანტო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
8. **ᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ალექსანდრე პავლეს-ძე — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
9. **ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ანტონ ივანეს-ძე — უფროსი ტექნიკი-ლეიტენანტი, სამხედრო მოსამსახურე
10. **ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვახტანგ იოსების-ძე — პოდპოლკოვნიკი, სამხედრო მოსამსახურე
11. **ᲘᲐᲜᲩᲘᲕᲘᲩᲘ** პავლე სტეფანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო მოსამსახურე
12. **ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი ვალერიანეს-ძე — კაპიტანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
13. **ᲘᲡᲐᲯᲝᲕᲘ** ევგენი გრიგოლის-ძე — უფროსი სერჟანტი, სამხედრო მოსამსახურე
14. **ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲕᲘ** ჯალილ ყარა ოღლი — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
15. **ᲙᲝᲠᲝᲢᲙᲘᲜᲘ** პავლე მიხეილის-ძე — კაპიტანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
16. **ᲙᲝᲡᲢᲝᲚᲝᲕᲘ** ივანე ნიკოლოზის-ძე — ტექნიკი-ლეიტენანტი, სამხედრო მოსამსახურე
17. **ᲙᲝᲜᲯᲚᲐᲫᲔ** ორჯონი შალვას-ძე — კაპიტანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
18. **ᲚᲐᲒᲐᲫᲔ** ივანე სიმონის-ძე — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
19. **ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** მიმლი ზაქარიას-ძე — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
20. **ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ** ენვერ აბდულას-ძე — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
21. **ᲛᲘᲢᲔᲜᲘᲝᲕᲘ** ვიტალი პავლეს-ძე — კაპიტანი, სამხედრო მოსამსახურე
22. **ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲐᲫᲔ** ბუდუ ბესარიონის-ძე — კაპიტანი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
23. **ᲡᲣᲚᲛᲘᲓᲝᲩᲘᲐ** ვასილ ნიკიფორეს-ძე — ეფრეიტორი, სამხედრო მოსამსახურე
24. **ᲡᲕᲔᲢᲘᲚᲩᲙᲝ** გიორგი კირილეს-ძე — მაიორი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
25. **ᲡᲪᲘᲠᲐᲓᲝᲜᲡᲝᲕᲘ** ილია იაკობის-ძე — მაიორი, სამხედრო მოსამსახურე
26. **ᲨᲘᲣᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ლავრენტი ილიას-ძე — პოლკოვნიკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი
27. **ᲮᲠᲝᲨᲨᲣᲩᲘᲜᲝᲕᲘ** იაკობ ზინოვის-ძე — ტექნიკური სამსახურის მაიორი, სამხედრო მოსამსახურე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Გ. ᲫᲘᲠᲗᲕᲜᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Შ. ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1962 წლის 25 დეკემბერი.

ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲐᲐᲒᲔᲡ ᲮᲘᲓᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). წელიწადის არც ერთ დროს არ წყდება შრომითი საქმიანობა ბათუმის ნავსადგურში. გემებიდან გადმოაქვთ ახალმოტანილი ტვირთები, სადგურიდან გადის ნავთობი, მანქანამოწყობილობით და პროდუქტებით დატვირთული თბომავლები. სულ უფრო ფართოვდება ნავსადგური, ემატება ახალი ტექნიკა, რაც თანდათან ამსუბუქებს ადამიანის შრომას.

როგორც ცნობილია, ბევრია ისეთი ტვირთი, რომლის დამუშავება წვიმიან ამინდში შეუძლებელი ხდებოდა, ეს კი დიდად აფერხებდა საწარმოო უბნის მუშაობას, იწვევდა დიდ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, მოცდენას.

შარშან ფეოდოსიის ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა ააგო სპეციალური გადასატვირთავი ხიდი, როგელიც დაამონტაჟეს ბათუმის ნავსადგურში. თითქმის ერთ წელზე მეტია ეს ხიდი შეუფერხებლად მუშაობს და ათასობით ტონა სხვადასხვა ტვირთი დაამუშავა. მიღებულია დიდი ეკონომია, გათავისუფლდა მუშახელი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად.

ამ დღეებში აქ ჩამოიტანეს მეორე გადასატვირთავი ხიდი, რომელსაც ფეოდოსიელი სპეციალისტები ამონტაჟებენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). შვიდწლედის მეოთხე წელს ახალციხის რაიონში სარეწველო საწარმოებს კიდევ ერთი ძლავრი ობიექტი შემატა — საეკსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროშრავლების ახალი ქარხანა.

ქარხნის კოლექტივმა პირველი პროდუქცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დღეებში გამოუშვა.

ახალი ქარხნის მუშაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წლის ბოლომდე გამოუშვან მუდმივი დენის 436 ცალი ელექტროძრავი.



ᲐᲩᲘᲒᲨᲐᲠᲘᲡ მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ამთავრებენ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს პლანტაციებში. ახლა მიდის ბუჩქების გადაბარვა და ერთდროულად სასუქების შეტანა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ი. გვარამიას თვითმავალ შასით დუსმ-16 შეაქვს პლანტაციებში მინერალური სასუქები.

ფოტო ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ...

ᲙᲐᲘᲠᲝ, 25 დეკემბერი. (საკდესი). ადენს კვლავ გადაუარა რეპრესიების ტალღამ. როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, ამას წინათ ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ დააპატიმრეს 35 პროფკავშირული აქტივისტი და 107 მუშა, რომლებიც მონაწილეობენ სპოროტესტო მოძრაობაში იმის წინააღმდეგ, რომ ადენი შეივიდეს ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ არაბეთის ფედერაციაში. მალე ისინი სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან.

როგორც ჩანს, აღნიშნავს გაზეთი, წარსულის გაკვეთილებმა ინგლისისათვის უნაყოფოდ ჩაიარა. იმპერიალისტური ინგლისი ივიწყებს, რომ უკვე აღარ არის ზღვათა მბრძანებელი, რომ მსოფლიო ძირეულად გადასხვაფერდა, რომ ხალხებს არ სურთ იცხოვრონ მონობის პირობებში და ბევრმა მათგანმა უკვე მოიშორა კოლონიური ბორკილები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲣᲙᲐᲪᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲚᲡ

ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს თავდადებული შრომით უპასუხებს პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი. მან ორი კვირით ადრე შეასრულა მაღალსახარისხოვანი მარგანეცის დამზადების წლიური დავალება და შვიდწლედის მეხუთე წლის ანგარიშში უკვე გამოუშვა რამდენიმე ათასი ტონა პროდუქცია.

ᲖᲔᲚᲔᲜᲩᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ზესტაფონის მარმარილოს მაღაროთა სამმართველომ, რომელიც აერთიანებს სალიეთის, შრომისა და მოლითის სამთო უბნებს, უკვე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების წლიური დავალება, დაზოგა ათასობით მანეთი, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით კარგად იმუშავა სალიეთის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც 270.000 მანეთის პროდუქცია დამზადა. თავი გამოიჩინეს დავით და დმიტრი მოდებაძეების, ივ. გურულის, გ. ᲭᲘᲥᲕᲐᲫᲘᲡ და ივ. ᲪᲣᲪᲘᲥᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲛ, რომლებიც ᲨᲔᲒᲘᲒᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲚᲔᲕᲘᲐᲜ.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა როგორც მადნის მოპოვების, ისე დაფქვის წლიური გეგმა.

ᲙᲐᲠᲑᲘ მაჩვენებლებით ამთავრებს შვიდწლედის მეოთხე წელს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა საწარმოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულეს. წლის ბოლომდე საწარმო ქვეყანას დამატებით მისცემს ათეულ ათასობით მანეთის ხვადასხვა პროდუქციას. დიდი წვლილია შეტანილი შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში — დაზოგილია 4 ტონამდე ფერადი ლითონები და ძვირფასი შენადნობები, რამდენიმე ტონა ნაგლინი.

სერიულ პროდუქციასთან ერთად, რომელსაც ქარხანა უშვებს, მან აითვისა ახალი პროდუქცია — ყურძნის პირველადი გადამუშავების ავტომატური ხაზი. იგი შედგება მთელი რიგი აგრეგატებისა და ტრანსპორტიორებისაგან და მთლიანად ავტომატიზებულია. ერთი ასეთი ხაზი საათში 20 ტონა ყურძენს გადაამუშავებს. ამ დღეებში ქარხანამ დაამთავრა აწყობა მეორე ხაზისა, რომელიც განკუთვნილია ყირიმელ მევენახეთათვის გასაგზავნად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ბრიგადირები (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ელენკო, ს. აკოლაშვილი და ზ. აბრამაშვილი გაგზავნის წინ ამოწმებენ ავტომატური ხაზის წნეხს.

ფოტო ვლ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). „ᲡᲐᲥᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა როგორც მადნის მოპოვების, ისე დაფქვის წლიური გეგმა.

ᲐᲛ გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ღია კაციერებისა და № 3 მაღ

საახალწლო ნობათი

ტამბოველთა წერილი ნორიოელებს

შემოდგომის მზიანი დღე იდგა. სოფლის ფოსტალიონმა წერილები „გაარჩია, დააწყო და ერთი პაკეტი ცალკე გადადო. კონვერტზე დაწერილი მისამართი უჩვენებდა, რომ წერილი ტამბოვიდან იყო გამოგზავნილი.

ფოსტალიონი მიხვდა, ვისაც ეკუთვნოდა ეს წერილი: „საქართველოს სსრ. სამგორი. ნორიო. ევგენი დანელიას“. ასეთი წარწერა ჰქონდა კონვერტს.

სოფლის მახარობელმა „არ დააყოვნა. პირველად მივიდა ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კანტორაში: დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო. მიესალმა დირექტორს და კონვერტი გადასცა...

როგორც კი დაჰხედა კონვერტს, დირექტორმა თქვა: ჩვენი მეგობრის წერილია. ტამბოვის ოლქის კოლმეურნეობა „კომინტერნის“ თავმჯდომარემ ევგენია ანდრეევამ გაგვიხსენა. დაგვასწრო წერილის მოწერა. ამ დღეებში მომხდარი დიდი მოვლენის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხია.

და მართლაც, ევგენია ანდრეევა წერდა: მოგესალმებით, ჩვენო ქართველო მეგობრებო. ჩვენი ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება უნდა განვაგრძოთ. ღრმად მწამს, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წარმატებაც გაგიხარდებათ. განსაკუთრებული აღმავლობით მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. გასასუქებლად დაყენებული გვყავს 10.000 სული ღორი. ნაწილი მივყიდეთ სახელმწიფოს, ნაწილს კი წლის ბოლომდე მივყიდით და 1962 წლის ბოლოსათვის ხორცის წარმოების მესამე ეტაპს მივაღწევთ. ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე უკვე ვაწარმოეთ 400 ცენტნერი რძე. გვყავს 36.000 ფრთა ფრინველი. მწვანე საკვებად დათესილი გვაქვს 550 ჰექტარი ბარდა. ყველა პირობას ვქმნით მომავალ წელს უფრო მეტი წარმატების მოპოვებისათვის. თქვენც გისურვებთ წარმატებას. თუ საშუალება მოგვეცა, კვლავაც გინახულებთ...

როცა ნორიოელები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს განიხილავდნენ, ერთხელ კიდევ გადახედეს მეურნეობის მიერ განვლილ გზას. გაეცნენ ტამბოველთა წერილს და აღნიშნეს, რომ მათ ჰყავთ 500-ზე მეტი მაღალპროდუქტიული ძროხა. წელს სულ უნდა აწარმოონ 805 ტონა რძე. უკვე წარმოებულია 800 ტონაზე მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ დარჩენილ დროში რძის წარმოების წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

საინტერესოა შემდეგი მონაცემი: თუ შარშან თერმიტი თვეში სახელმწიფოსათვის მიყიდული იყო 524 ტონა რძე, წელს თერმიტ თვეში მიყიდულია 597 ტონა. გასული წლის დეკემბერში ყოველდღიური საერთო წველადობა 1.100 ლიტრს არ აღემატებოდა, წელს კი 1.700 ლიტრს აჭარბებს. იმატა ცხიმიანობამაც.

მწველავ სოლომონ აბრამიშვილს საუკეთესოდ მოვლილი 17 ძროხა ჰყავს. წლიური გეგმით უნდა მოწველოს 56,6 ტონა რძე. ეს დავალება 25 დეკემბრამდე შეასრულა. შრომითს ვახტანგ დგანან და წლიური დავალებები გადაჭარბებით გაანაღდეს მწველავებმა გიორგი ცოფურაშვილმა, სოფიო დელიბაშვილმა, მაგრამ მათ უკვე გაუსწრო მართა ჯოგიაშვილმა, რომელმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 21 ტონის ნაცვლად უკვე მოწველა 23 ტონაზე მეტი. ციცინო სახლოხუციშვილმა მიიღო 26 ტონაზე მეტი რძე ნაცვლად 21 ტონისა.

ქების ღირსია პირველი ბრიგადა, რომელსაც იასონ ოსიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას წლიური გეგმით უნდა მოეწველა 263 ტონა რძე. ეს დავალება ვადაზე ადრე შესრულდა. ბრიგადაში თვითეული ძროხის საშუალო წველადობამ 2.800 კილოგრამს მიაღწია. ახლა ამ ბრიგადის მწველავთა მუშაობის გამოცდილებას ფართოდ ნერგავენ მეურნეობაში.

მოწინავე მწველავები კარგ ანაზღაურებას და პრემიებსაც იღებენ. აღსანიშნავია, რომ სოფელში მშრომელთა კეთილდღეობის ძირითადი წყარო გახდა საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული საზღაური.

მეურნეობაში ყველა პირობაა შექმნილი პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. მეცხოველეობის ფერმები უზრუნველყოფილია კარგი სადგომებით. გეგმით გათვალისწინებული 1.500 ტონა უხეში საკვების ნაცვლად აქვთ 1.700 ტონა. დამზადებულია 2.500 ტონა სილოსი ნაცვლად 2.110 ტონისა. მეურნეობაში განვითარებულია მეცხვარეობა. ჰყავთ 8.000 სულზე მეტი ცხვარი. დეკემბერში დაიწყო საადრეო დოღი და ამ თვის ბოლომდე მიღებული იქნება 500 ბატკანზე მეტი.

კარგად მიდის სხვა სამუშაოებიც. მზრალად მოხნულია 480 ჰექტარი ნაცვლად 400 ჰექტარისა. ხეხილის ბაღები და ვენახები მთლიანად დაბარულია სასუქების შეტანით. სასუქების შეტანაზე გამოყენებულია ოთხთვალიანი ტრაქტორები ლაფეტებით და თვითსაცლელი ავტომანქანები.

ამჟამად მეურნეობაში გასასუქებლად გამოყოფილია 115 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ეს მთლიანად უზრუნველყოფს 1963 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმის შესრულებას. შვიდწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია მეურნეობას ჰყავდეს 700 სული ძროხა. ეს დავალება 1963 წლის ბოლოსათვის შესრულდება.

აღმავლობის გზით მიდის მეურნეობა. აქ მომუშავე შრომისმოყვარე ადამიანები ეხერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ გამოავლინონ ახალი რეზერვები, წარმოებაში დანერგონ ყოველივე ახალი, პროგრესული. ცხადია, ამ გზით მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ეს არის მეურნეობის კოლექტივის მთავარი საზრუნავი.

გაიელის ერთი წელი, და სოფელ ნორიოს მშრომელთა ცხოვრება უფრო მდიდარი, ლამაზი იქნება. ისინი მიაღწევენ შვიდწლედის ბოლო წლის ზღუდეს.

ნ. ჯანჯღავა.



საზოგადოების მკაცრი კრიტიკით

წუნისმკეთებლები

პროდუქციის ხარისხზე ბევრი ლაპარაკია კომბინატში. ფაბრიკებსა და საამქროებში არ გაიმართება თათბირი თუ კრება, რომ ქსოვილის ხარისხს არ შეეხონ. ჩვენს მრავალტირაჟიან გაზეთშიც ხშირად იწერება კორესპონდენციები და წერილები პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, ვაკრიტიკებთ წუნისმკეთებლებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო თათბირებზე ლაპარაკი და ჩვენი კრიტიკა ვერ შველის საქმეს. წუნისმკეთებლებს იქნებ შოლტმა მაინც აუწვას ყური. ამიტომ ამ პატარა ბარათს გიგზავნით, ჩვენო უფროსო ძმაო. შველას და დახმარებას გთხოვთ.

შოლტის მოქნევა პირველად კომბინატის გამომყვან ფაბრიკაში (გამგე ა. ანანიაშვილი) მოგიხდებათ. წუნისმკეთებლებს ყველა საამქროში ნახავთ. პირველიდან ცამეტ დეკემბრამდე საწუნდებლო საამქრომ ხელმეორედ გადამუშავებისათვის საამქროებს დაუბრუნა 89.251 მეტრი ქსოვილი, აქედან მარტო გამათეთრებელ საამქროს (უფროსი ა. ქერდიყოშვილი) — 29.500 მეტრი. ეს დამატებით ხარჯს მოითხოვს, იწვევს თვითღირებულების გაზრდას.

მიზეზი ერთია. ხშირია ხამი ქსოვილის გამოყვანის ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა. ფაბრიკის ხელმძღვანელობა და პარტიული ბიურო წუნისმკეთებლებს სუსტად ებრძვიან. რომელი ერთი დავსაჯოთო, — აცხადებენ ისინი. ანდა რა ეთქმის ფაბრიკის მესვეურებს, ორი წელია გამათეთრებელი საამქროს მეორე გამშრობი აგრეგატის მუშები აყენებენ აგრეგატის ხის სახურავის გამოცვლის საკითხს, მაგრამ მათს თხოვნას არავინ ასრულებს. ამ აგრეგატზე მოდის წუნის 5-10 პროცენტი.

მეტად მოძველებულია ქსოვილის სატრუსავი მანქანა. საჭიროა ახლით შეცვლა, მაგრამ წლები გადის, საქმე მოუგვარებელია, ამ მანქანის უვარგისობით გამოწვეული წუნი კი ყოველდღიურად დიდდება. მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებით მოუმარაგებლობაც დიდად უშლის ხელს გორელ ფეიქრებს მუშაობაში.

ბოლოს კიდევ ერთი საკითხი. გამომყვანი ფაბრიკის საზომ-საკეცი საამქროს უფროსი ლ. მჭედლიშვილი ჩვენს გაზეთში სამართლიანად მოითხოვდა ფაბრიკის მუშაობის პრაქტიკაში გამოფენილი ერთი მავნე ჩვეულების დაგმობას. საქმე ის არის, რომ წუნი წარმოშობის ადგილზე არ ისპობა, წუნდებული ქსოვილი ხარისხიანთან ერთად გადის ყველა პროცესს და საზომსაკეცი საამქროდან უბრუნდება მეორედ გადამუშავებისათვის საამქროებს. ეს ზედმეტი ხარჯი და დაკარგული დროა. საჭიროა წუნდებული ქსოვილი შემჩნევისთანავე დაბრუნდეს გამოსასწორებლად.

იქნებ ამ საქმის მოგვარებაშიც დაგვეხმაროს შოლტი.

გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი. *გორის ბამბეულის კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ბორელი ფეიქრის“ რედაქცია.*

ერთი აგურიც არ დაუმატებიათ

ჩვენი ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სახარულმა მოიცვა, როცა ქალაქის ცენტრში კულტურის სახლის მშენებლობა წამოიწყეს, თუმცა ამისათვის სხვაგან ადგილი „ვერ გამონახეს“ და ქალაქის ისედაც პატარა ბაღი საგრძნობლად შემცირეს, მრავალწლიანი დეკორაციული ნარგავები, გაზონები გადათხარეს და გაანადგურეს.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. მაგრამ მშენებლობა პირველ სართულზევე გაიყინა, კედლები აქა-იქ ჩამოინგრა, დახავსდა და მზრუნველობას მოითხოვენ.

შარშან დაისვა საკითხი ამ შენობის კინოთეატრად გადაკეთების შესახებ. პროექტიც შეადგინეს. გვეგონა ახლა მაინც ეშველებოდა „სურამის ციხეს“, მაგრამ მოვტყუვდით. მშენებლობაზე ერთი აგურიც არ დაუმატებიათ.

ვ. ჯაველი,
ახალციხის საქალაქო კინოთეატრის დირექტორი.

სტრიქონები ამხილებენ

△ **მაღალმთიან** სოფელ შქმერში (ონის რაიონი) წინათ ექიმი გვყავდა, ახლა უექიმოდ დაგვტოვეს.

ვ. ჯოხაძე.

△ **ქედის** რაიონული საავადმყოფოს და სოცუზრუნველყოფის განყოფილების შენობა გადაუდებელ რემონტს მოითხოვს.

ნ. ნათენაძე.

△ **ზოთელწყაროს** რაიონშიც დამკვიდრდა ტელევიზორი. სამწუხაროა, რომ მის ანტენებს და სტაბილიზატორებს მაღაზიებში ვერ იშოვნით.

ვ. კოკოლაშვილი.

△ **თელავის** რაიონის მაღაზიებში ვერ შეხვდებით ორღილაკიან ელექტროგამომმართველს. განა ძნელია ამ საქმის მოგვარება?

ვ. ქევხიშვილი,
ზ. მშვენიერიძე.

△ **ზამთარი** კარს მოგვადგა, დიღმის მასივის შეოთხე კორპუსში კი გათბობა ჯერაც არ დაუწყიათ.

დ. აბაშიძე.

△ **რაბომ** გაგვიუქმეს სოფელ ხალხინოში (ვანის რაიონი) მაღაზია და პურის საცხობი?

ა. ახობაძე.

△ **შესანიშნავ** სოფელ ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი) დღემდე არ არის ელექტროგანათება.

ლ. ციერამუა.

როცა უგულოდ მუშაობენ

თ ბ ი ლ ი ს ი ს კუიბიშევის სახელობის ხის დამშუშავებელ ქარხანაში (დირექტორი ა. გოგლიძე) ბევრი კეთილსინდისიერი და მუყაითი ოსტატია, მაგრამ მათ გვერდით მუშაობენ ადამიანები, რომლებიც საქარხნო მარკას აბუჩად იგდებენ, უგულოდ ეკიდებიან მინდობილ სამუშაოს. აი უხარისხო პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მიზეზი.

მარტო მიმდინარე წლის 10 თვეში სავაჭრო ორგანიზაციებმა წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციია დიდი რაოდენობით გადაიყვანეს პირველი ხარისხიდან დაბალ ხარისხში. ამის გამო სავაჭრო ორგანიზაციებმა წარმოებას 1.417 მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს, გარდა ამისა, ამ საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციია მაღაზიებმა (№№ 92, 79, 108, 8) ჩამოაფასეს როგორც უხარისხო და ამით ქარხანამ 275 მანეთი იზარალა.

წუნდებული პროდუქციის დამზადების გამო მოხსნილი იქნენ სამუშაოდან ამწყობი საამქროს მუშები ს. კანდალიანი, ე. ურიგაევი და შ. მელიქიძე, ხოლო მოპირკეთების საამქროს მუშას ი. პოპოვს, ამწყობებს ე. ვაითაძეს, ი. მაკაძეს და სხვებს საყვედური გამოეცხადათ.

იქნებ მარტო ესენი არ იყვნენ დასასჯელები?

როდემდის ფიქრობენ ამ წარმოების მესვეურები, ოსტატები დაბალი ხარისხის პროდუქციის დამზადებას? როდის მიაწევდიან მომხმარებლებს მაღალხარისხოვან პროდუქციას?

რ. ბახილაშვილი.

ქალაქის საბჭოს ცხვირწინ

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ხანს ქალაქ ცხინვალის კომუნალურ მეურნეობაში უპასუხისმგებლობა იგრძნობა. კომუნარისა და კარლ მარქსის ქუჩებზე ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე ორასი მეტრის სიგრძეზე გააკეთეს თხრილი, რომელშიც ელექტროსაბები უნდა ჩაეწყოთ. წყლით, ნაგვით ივსებოდა ეს თხრილები. ქალაქის ამ ცენტრალურ ქუჩებზე გავლა შეუძლებელი გახდა. ასე გაგრძელდა თითქმის ოთხ თვეს. ახლა თხრილები ხელმეორედ ამოწმინდეს, კაბელი მოიტანეს, ჩააწყეს, მაგრამ მიწა თხრილებზე მაინც მიუყრელია. კვლავ გრძელდება მოქალაქეთა ხტომა თხრილებზე, კვლავ უსუფთაობაა.

ნუთუ ქალაქის საბჭოს აღმასკომი და მისი თავმჯდომარე ზ. გასიევი ამ „წვრილმანს“ ვერ ამჩნევენ?

ი. ჟოლუდევი,
ხ. მულდაროვი,
სამხრეთ ოსეთის საგაზეთო გამომცემლობის მუშაკები.

წყალწაღებული ნი



ამ წერილით უგულოდ ადამიანებზე გვინდა ვილაპარაკოთ. მხედველობაში გვყვანან ქუთაისის № 12 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი ვ. ცაგარეშვილი) მუშაკები.

რაშია საქმე? წელიწადნახევრის წინ ამ სამმართველოს კუთვნილი ექსკავატორი ომბია ნ ად თუნთუხუბდა ცაგერის რაიონში. მან დიდი დახმარება გაუწია № 20 საგზაო - საექსპლოატაციო უბანს სამანქანო გზისთვის მდინარის ხრეშის მიწოდების საქმეში. იტვირთებოდა მანქანები და შეუსვენებლად შრომობდნენ გზის მშენებლებიც.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ექსკავატორი ცხინვალის პირას მუშაობდა, აღიდდა მდინარე, კარიერში წყალი ჩადგა. ექსკავატორის პატრონებმა მიატოვეს ექსკავატორი და მისთვის შემდეგ არც კი მიუხედავთ. მეორეჯერ აღიდებულმა ცხენისწყალმა კარიერი არა მარტო წყლით ამოავსო, არამედ ექსკავატორი ისე ჩასილა, რომ მისი ამოღება ამჟამად არავინ იცის როგორ მოხერხდება... ახლა ისე გაძარცულია ექსკავატორი, რომ მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩა.

გ. ბენდელიანი.

• • •

სურათზე: მდინარე ცხენისწყლის პირას ჩასილული ექსკავატორი.

ფოტო **ავტორისა.**

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სინდისი და სამართალი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1962 წლის 18 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ სიმონიანისა და მერაბიშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაჭიანურებას.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მაისურაძემ რედაქციას აცნობა, რომ შემოწმებით წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ე. კაზარაოვს საქმის განხილვის გაჭიანურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულმა დისციპლინარულმა კოლეგიამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

სიმონიანისა და მერაბიშვილის სისხლის სამართლის საქმე განსახილველად დაეკვემდებარა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის პირველ ინსტანციას და განხილული იქნება უახლოეს პერიოდში.

პარტიული მუშაობის მთავარი რგოლი

პოლიტიკური განათლების სისტემაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი უმნიშვნელოვანესი ეტაპია პარტიის XXII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სანიმუშოდ მოაწყონ პლენუმის დოკუმენტების შესწავლა, რომელიც ჩვენი პარტიის უმდიდრეს გამოცდილებას შეიცავენ.

წრეების, პოლიტსკოლებისა და თეორიული სემინარებისათვის რეკომენდებული მთელი მასალა დაიყოს სამ თემად: **1. პარტიული ორგანოების აგების საწარმოო პრინციპი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, 2. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპები, 3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი სახალხო მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ,** და ამის შესაბამისად ჩატარდეს ორი-სამი მეცადინეობა.

ცხადია, ამ სამი თემით როი ამოიწურება პლენუმის მასალების შესწავლა. პროპაგანდისტები და მსმენელები შემდგომაც ფართოდ გამოიყენებენ მათ ძირითადი საპროგრამო მასალის შესწავლის დროს. პირველ თემაზე მეცადინეობისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ასეთი გეგმა:

1. სკკპ ორგანიზატორული როლის ზრდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

2. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და პარტიული ხელმძღვანელობის ახალ ფორმებზე გადასვლის საჭიროება.

3. პარტიული ორგანოების ადრინდელი სტრუქტურა და ნაკლოვანებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

4. პარტიული ორგანოების გარდაქმნა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად.

1. სკკპ ორგანიზატორული როლის ზრდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ამ საკითხის გაშუქებისათვის პირველ რიგში მოკლედ უნდა იქნას მოთხრობილი სკკპ წარმმართველ და ხელმძღვანელ როლზე ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კომუნისტურმა პარტიამ, როგორც მუშათა კლასის პარტიამ, უზრუნველყო ექსპლოატატორული წყობილების დამხობა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად სკკპ, როგორც მთელი ხალხის პარტია, სათავეში უდგას კომუნიზმის დიდ მშენებლობას. „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს, — ვკითხულობთ პარტიის ახალ პროგრამაში, — ახასიათებს **კომუნისტური პარტიის,** როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და **წარმმართველი** ძალის, **როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა**“ (იხ. სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, გვ. 525).

ნათლად უნდა იქნას ნაჩვენები პარტიის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის, უმაღლესი ფორმის როლი, თუ რატომ მაღლდება და ძლიერდება მისი წარმმართველი ზეგავლენა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა პარტიის პროგრამა, რომლის მიხედვით პარტიის **როლის** შემდგომ ზრდას განაპირობებს: პირველ რიგში — კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდა და ამოცანების სირთულე; მეორე — მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება, მილიონობით ახალი მშრომელის ჩაბმა სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში; მესამე — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოება; და ბოლოს — მეცნიერული კომუნიზმის თეორიის, მ-სი შემოქმედებითი განვითარებისა და პროპაგანდის მზარდი მნიშვნელობა.

ცხადია, რომ განუხრელად იზრდება კომუნისტური მშენებლობის მასშტაბები და ამასთან დღის წესრიგში დგება რთული ამოცანები, პარტიის საქმიანობა კიდევ უფრო ღრმად შეიჭრება მატერიალური წარმოების სფეროში, რაც პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაძლიერებას მოითხოვს.

ამ პერიოდისათვის უსაზღვროდ დიდდება მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობა სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში, რაც ბუნებრივად ხელმძღვანელობის გაძლიერებას მოითხოვს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი მოასწავებს უდიდეს ძვრებს, რომლის მეცნიერულ შესწავლასა და განზოგადებას, რევოლუციური ღონისძიებების განხორციელებას სათავეში უდგას კომუნისტური პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. ახალი თეორიული დებულებებითა და დასკვნებით პარტია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას.

ნათლად უნდა იქნას ნაჩვენები პარტიის უდიდესი დამსახურება ატალინის პიროვნების კულტის პერიოდში არსებული სუბიექტივიზმის დაძლევისა და საზოგადოების განვითარებისაში ხელმძღვანელობის მთლიანად მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისათვის. სწორედ ამის ნიმუშს წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მთელი მუშაობა.

2. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და პარტიული ხელმძღვანელობის ახალ ფორმებზე გადასვლის საჭიროება.

ამ საკითხის გარჩევასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას სკკპ XX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში პარტიის უდიდეს ზრუნვას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. სათანადო მასალების მოშველიებითა და ანალიზით ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები სახალხო მეურნეობის უკეთ გაძღოლისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიღწეული გრანდიოზული წარმატებები, წარმოებას საშუალებათა უპირატესი განვითარების ლენინური კურსის განუხრელად გატარების სიდიადე, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური გაუმჯობესება.

ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რათა მსმენელებს კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების არნახულ ტემპებზე, კაპიტალისტურის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შვიდწლიან გეგმას, რომლის განხორციელებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე.

მეცადინეობებზე ნათლად უნდა იქნას ნაჩვენები პარტიული ორგანოების აგების საწარმოო პრინციპის უდიდესი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების დაჩქარებისათვის.

ფართოდ უნდა გაშუქდეს ჩვენი პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, სახალხო მეურნეობის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ობიექტური აუცილებლობა. მსმენელებს ღრმად და გასაგებად უნდა განემარტოს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვენ პარტიული ხელმძღვანელობის მოძველებული ფორმებიდან ახალ ფორმებზე გადასვლას, რომელიც მოასწავებს საზოგადოების საწარმოო ძალების გიგანტურ განვითარებას.

უნდა ცხადყოთ, რომ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელება უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი პარტიის საქმიანობა, რომლის მიხედვითაც წარიმართება სახელმწიფოებრივი, **პროფკავშირული, კომკავშირული** და **საზოგადოებრივი** ორგანიზაციების მთელი მუშაობა. სწორედ პარტიის, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი განაპირობებს მათს აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. პარტია, რომლის მთელ მოღვაწეობას საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური პრინციპები, დროზე ამჩნევს და ავითარებს ახალს, პროგრესულ მოვლენებს ნახოგადებრივ ცხოვრებაში. სწორედ პარტიას შესწევს უნარი გამოსახოს ამოცანათა მთელ ჯაჭვში მთავარი რგოლი, მის გარშემო მოახდინოს ყურადღების მობილიზაცია, მხარი დაუჭიროს მასების შემოქმედებითს ინიციატივას და ამით უზრუნველყოს კომუნიზმისაკენ წინსვლა.

3. პარტიული ორგანოების ადრინდელი სტრუქტურა და ნაკლოვანებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

ამ საკითხზე თხრობის დასაწყისში უნდა ნათელყოთ, თუ რატომ მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ორგანიზაციულად გარდაქმნას სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა ცენტრში და ადგილებზე.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესში პარტიისა და ხალხის წინაშე დგება ახალი, მეტად რთული და საპატიო ამოცანები, რომლებიც განპირობებულია, ერთი მხრივ, სახალხო მეურნეობის სულ უფრო მზარდი მასშტაბებით და, მეორე მხრივ, სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა კი მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელი წლების მანძილზე მთელი რიგი რევოლუციური ხასიათის ღონისძიებანი განახორციელა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვის სრულყოფისათვის. სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საწარმოო საამმართველოების სახით პარტიამ გამონახა სამეურნეო ხელმძღვანელობის ისეთი ფორმები, რომლებიც ყველაზე უკეთ უპასუხებენ თანამედროვე ისტორიული პერიოდის ამოცანებს და საუნებით შეესაბამებიან ჩვენი ეკონომიკის დონეს.

მაგრამ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ყოველმხრივი გაუმჯობესება არ შეიძლება მიღწეულ იქნას მარტო სამეურნეო ორგანოების გარდაქმნით. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეკონომიკის ახალი შინაარსი, ახალი დონე, როგორც აღინიშნა, მოითხოვს აგრეთვე პარტიული ხელმძღვანელობის ახალ ორგანიზაციულ ფორმებს.

„თანამედროვე პირობებში, — მიუთითებდა ნ. ს. ხრუშჩოვი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, — როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მისი სახალხო მეურნეობა გიგანტურად გაიზარდა, განუზომლად ამაღლდა პარტიის როლი ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებაში, განსაკუთრებით სამეურნეო მშენებლობაში, ახლა ძველი ორგანიზაციული ფორმები უკვე ხდება ერთგვარი მუხრუჭი წარმოებისადმი პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში“.

თვითეულმა მსმენელმა კარგად უნდა შეითვისოს, რომ რაიონული, საქალაქო, სამხარეო პარტიული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების აგების ტერიტორიული პრინციპი შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და დადებითი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს სტრუქტურა საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად გავშალოთ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა წარმოების ყველა დარგის ხელმძღვანელობაში. ეს უკანასკნელი კი განაპირობებს მთელ რიგ ნაკლოვანებებს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში.

ტერიტორიული პრინციპის მიხედვით აგებული პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები ვალდებული იყვნენ თანაბარი ენერგიით ემუშავათ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მაგრამ სინამდვილეში ისინი იძულებული ხდებოდნენ მიემართათ კამპანიურობისათვის პარტიულ ხელმძღვანელობაში. მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ ხან მრეწველობის, ხან მშენებლობის და ხან სოფლის მეურნეობის საკითხებზე იმისდა მიხედვით, თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტი სახალხო მეურნეობის რომელი დარგის მიმართ ამახვილებდა ყურადღებას.

პარტიულ ხელმძღვანელობაში კამპანიურობა იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანოების ადრინდელი სტრუქტურა არ იძლეოდა როგორც მრეწველობისა და მშენებლობის, ისე სოფლის მეურნეობის საკითხებზე ღრმა და კონკრეტული მუშაობის შესაძლებლობას.

პარტიული ხელმძღვანელობის ძველი ორგანიზაციული ფორმები უკვე აღარ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების თანამედროვე ამოცანებს.

პარტიული ორგანოების ადრინდელი სტრუქტურის ნაკლი ის იყო, რომ ვერ წყვეტდა პარტიული კადრების სავსებით სწორად განაწილებისა და გამოყენების ამოცანებს. ასეთ პირობებში ხშირად თავს იჩენდა ცალმხრივი მიდგომა პარტიულ კადრებისადმი; როგორც წესი, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი იყო სახალხო მეურნეობის ხან ერთი, ხან მეორე დარგი, სოფლის მეურნეობა ან მრეწველობა.

მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ამჟამად მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 2 მილიონ 546 ათასი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობაში კი 559 ათასი სპეციალისტი. პარტიაში 10 მილიონზე მეტი წევრია. კომკავშირი აერთიანებს დაახლოებით 20 მილიონ ახალგაზრდას, ხოლო პროფკავშირები 66 მილიონ მშრომელს ითვლიან.

საჭირო გახდა გამოგვენახა ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც უკეთესად იქნება გამოყენებული მრავალმილიონიანი და მაღალკვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

**4. პარტიული ორგან

ეს შრომა წარდგენილია ლენინურ პრემიაზე

სიახლე ჩაის მრეწველობაში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლენინური პრემიების კომიტეტმა მეცნიერების და ტექნიკის დარგში მიმდინარე წლის 5 დეკემბერს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა 1963 წლის ლენინური პრემიების მისანიჭებლად შესულ ნაშრომთა სია, სადაც კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგში კომიტეტში შესულ ნაშრომთა შორის არის საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფის შრომა „შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოების შექმნა და წარმოებაში დანერგვა ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციით“. (ავტორები: ა. ვ. ხუროძე, გ. ს. ჯომარჯიძე, პ. დ. კუპრაძე, ა. გ. კალანდაძე, შ. ლ. დარჩია, დ. გ. მეგავნაძე, ი. ა. ხოკოლავა, ბ. ნ. ჯობაძე, ლ. ე. ქირია, ტ. ვ. უვავილაშვილი, კ. მ. ჯმუხაძე, დ. თ. ნაცვლიშვილი, გ. კ. ცხადაძე, ვ. კ. მშვიდობაძე, მ. ი. ელკანი, ი. ი. დემურიშვილი).

ჩაის მრეწველობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაიზე. მიმდინარე წელს საქართველოს ჩაის მრეწველობამ უზრუნველყო უხვი მოსავლის შეუფერხებელი გადამუშავება და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებული იყო შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის. ამ მიღწევებში დიდი როლი ეკუთვნის იმ შრომას, რომელიც ამჟამად წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.

ცნობილია, რომ ჩაის მრეწველობა ძირითადად ორი სახის ჩაის აწარმოებს — შავს და მწვანეს, რომელიც ერთისა და იმავე ნედლეულიდან — ჩაის მცენარის ნაზი დუღუნისაგან მზადდება. გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ჩაის ფოთოლში შემავალი ქიმიური ნივთიერებების ცვლილებები სეზონის განმავლობაში ხდება ისე, რომ ტანინების შემცველობა, რომელიც შავი ჩაის ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, იზრდება მაისიდან აგვისტომ თვის ჩათვლით, რის შემდეგ ხდება მისი შემცირება, მაშინ როდესაც ცილოვანი ნივთიერებები, რომლებიც შავი ჩაის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებენ, პირიქით, მაისიდან აგვისტოს ჩათვლით მცირდებიან, ხოლო აგვისტოს შემდეგ ხდება მათი მატება.

ჩაის ფოთლის შედგენილობის ცვალებადობის და მასთან ერთად მისგან მიღებული პროდუქციის ხარისხის შესწავლის საფუძველზე მეცნიერ მუშაკებმა და წარმოების სპეციალისტებმა წამოაყენეს შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოების პრობლემა და დაამუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ პრობლემის განხორციელებისათვის. საქართველოს ჩაის მრეწველობის 1962 წლის პრაქტიკულმა საქმიანობამ დაამტკიცა აღნიშნული დებულებების სისწორე.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფმა შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოებისათვის შექმნა ჩაის საღნობი-საფიქსაციო აგრეგატი, რომელიც იძლევა საშუალებას აწარმოოს როგორც შავი, ისე მწვანე ჩაი. ამასთან ერთად აგრეგატის გადაყვანა ერთი სახის ჩაის წარმოებიდან მეორეზე და პირიქით ხდება 1,5-2 საათში, ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გაწევისგან. ამგვარად, საჭირო არ არის ცალკე აგრეგატები თვითეული სახის ჩაის წარმოებისათვის. ახალი სქემის მიხედვით ჩაის მრეწველობამ მაისის და სექტემბრის ფოთოლი უნდა გადაამუშაოს მწვანე ჩაით, ხოლო ივნისის, ივლისის და აგვისტოს ფოთოლი — შავი ჩაით. ამ პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად გადაწყდა არა მარტო ჩაის ნედლეულის მიზანშეწონილი გამოყენების საკითხი, არამედ ამ ორი სახის ჩაის მომხმარებელთა მოთხოვნილების შესაბამისად წარმოების საკითხი.

ჩაის საღნობი-საფიქსაციო აგრეგატის შექმნა და ჩაის ფაბრიკების კომბინირებულ წარმოებაზე გადაყვანა შესაძლებლობას იძლევა უდანაკარგოდ შევცვალოთ საწარმოო გეგმები იმის მიხედვით, თუ როგორია მოთხოვნილება ამა თუ იმ სახის ჩაიზე, რისთვისაც საჭირო არ არის ფაბრიკების რეკონსტრუქცია და აგრეგატების შეცვლა.

ჩაის მრეწველობის შავი და მწვანე ჩაის კომბინირებულ წარმოებაზე გადასვლა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთი სახის წარმოება არ არის არც ერთ ჩაის მწარმოებელ ქვეყანაში. ამასთან იგი ითვლება წარმოების ისეთ ფორმად. რომელიც ძირეულად ცვლის არსებულ ტექნოლოგიას მაღალი ეკონომიური ეფექტით, აუმჯობესებს შავი და მწვანე ჩაის ხარისხს.

ცნობილია, რომ ჩაის წარმოების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ჩაის ფოთლის არათანაბარი შემოსვლა სეზონის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო ნედლეულის შემოსვლის გათვალისწინებით გაგვეზარდა ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე, რათა უზრუნველგვეყო ყოველწლიურად მზარდად შემოსული ფოთლის გადამუშავება ტექნოლოგიური რეჟიმის დაურღვევლად და ხარისხის სავალდებულო დაცვით.

მეცნიერების და წარმოების მუშაკების მიერ შექმნილი და მოდერნიზებული იყო მაღალი წარმადობის მანქანები, განსაკუთრებით საღნობი და საშრობი საამქროებისათვის, რამაც საგრძნობლად გაადიდა ამ საამქროების გამტარუნარიანობა, მაგრამ ამასთან ერთად შექმნა არათანაბრიანობა საამქროებს შორის. მაგ., საგრები საამქროს გამტარუნარიანობა რჩებოდა იგივე, რაც წინათ. თუ საღნობი საამქროს დღეღამური წარმადობა საქართველოს ჩაის ტიპიური ფაბრიკისათვის უდრიდა 53 ტონა მწვანე ფოთოლს, საროლერო საამქროსათვის იგი 36 ტონასღა აღწევდა, ხოლო საშრობი საამქროსათვის — 65 ტონას. ამიტომ საამქროების გამტარუნარიანობა ისაზღვრებოდა საროლერო საამქროს გამტარობით. საროლერო საამქროს გამტარუნარიანობის გაზრდა ხდებოდა გრეხის ტექნოლოგიური სქემის დარღვევით. სამჯერადი გრეხის ნაცვლად, ფაბრიკა იძულებული იყო ჩაეტარებინა ორჯერადი და ზოგჯერ ერთჯერადი გრეხა, რაც ამცირებდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო საროლერო საამქროს გამტარუნარიანობის სიმცირე ჩაის ფოთლის მასობრივი შემოსვლისას, როდესაც ფოთლის დღიური შემოსავალი 80 ტონას აღწევდა. საგრეხი საამქროს გამტარუნარიანობის გაზრდა დამატებითი როლერების დადგმით მოითხოვდა მოქმედი ჩაის ფაბრიკების ძირითად რეკონსტრუქციას, დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, თანხებს და დროს. წარმოების სეზონურობა და ჩაის ფოთლის არათანაბარი შემოსვლა ხელს უწყობდა მუშახელის დენადობას ჩაის ფაბრიკებიდან.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მონახეს ისეთი მეთოდი და საშუალება საგრეხი საამქროს წარმადობის გადიდებისათვის და საამქროებს შორის არათანაბრობის მოსპობისათვის, რომლითაც საჭირო არ არის მოქმედი ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქცია. ეს ღონისძიება განხორციელდა მცირე დროში და დიდი დანახარჯების გაუწევლად — გრეხის ახალი ტექნოლოგიის შემუშავებით და ჩაის ფაბრიკების საროლერო საამქროს ცენტრალური მართვის კომპლექსური მექანიზაციით. გრეხის ახალი ტექნოლოგია ემყარება როლერში მომდინარი ფოთლის რაოდენობის გაზრდას, როლერის ბრუნვათა რიცხვის გადიდებას, როლერების ფარდობის შეცვლას პირველი, მეორე და მესამე გრეხისათვის და საროლერო საამქროს მძიმე სამუშაოების მექანიზაციას ტელეფერების საშუალებით. ამ ღონისძიებებმა საგრეხი საამქროს წარმადობა 60 პროცენტით გაადიდა. გასული ორი წლის მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩაის გრეხის ახალი ტექნოლოგია აუმჯობესებს საწარმოო პიგიენას, ადიდებს საგრეხი საამქროს გამტარუნარიანობას, აუმჯობესებს ჩაის ფოთლის გრეხის ხარისხს. ამით გრეხის ტექნოლოგიაში შეტანილ იქნა პრინციპული ცვლილებები, რადგან ფოთლის გრეხის ხარისხი მიღწეულია არა წნეხის გამოყენებით, არამედ მომღნარი ფოთლის მასის გადიდებით როლერებში.

საქართველოს სსრ ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე შავი ჩაის წარმოებაში გრეხის ახალი ტექნოლოგიისა და საგრეხ საამქროში მექანიზაციის დანერგვამდე შეადგენდა 103,5 ათას ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს სეზონის განმავლობაში. კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვით მოქმედი ფაბრიკების სიმძლავრე აყვანილ იქნა 168,6 ათას ტონამდე. ახალი ტექნოლოგიისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით მიღებული სიმძლავრის ნამატი ჩაის 26 ფაბრიკის სიმძლავრის ტოლია.

ჩაის კომბინირებული წარმოების გამოყენებამ 1962 წელს საქართველოს ჩაის 27 ფაბრიკაში და გრეხის ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ 52 ფაბრიკაში დიდი შედეგი გამოიღო, როგორც ეკონომიური მაჩვენებლების, ისე ჩაის ფაბრიკების საერთო მუშაობის გაუმჯობესების მხრივ.

ჩაის ნედლეულის დიფერენცირებული გადამუშავება შესაძლებლობას იძლევა გავადიდოთ ჩაის ფაბრიკებს სიმძლავრე 65 ათას ტონით, გავუმჯობესოთ [illegible] ხარისხი, [illegible] [illegible] [illegible]

კომუნისტი სპორტი

ამჯერად — კოტრიკაძე

ზოგჯერ ძნელია საფეხბურთო ბრძოლის დუღილში აღმოაჩინო საერთო შინაარსი, თამაშის რიგი, რაიმე კანონზომიერება, მაგრამ არაზუსტი პასი თუ უხერხული დარტყმა თვალში ეცემა მაყურებელს და გუგუნს იწვევს ტრიბუნებზე. ასეთი შეცდომა ბევრია, მაგრამ ისინი წარმავალია, ისინი შეიძლება თამაშის მსვლელობაში გამოასწორო და დაივიწყო, თუ საფრთხე გაიარა. და მხოლოდ მეკარის შეცდომებია სამედისწერო. იგი, როგორც მენადმე, არ შეიძლება ცდებოდეს. არ არის უფრო პასუხსაგები და უფრო ძნელი როლი ფეხბურთში, ვიდრე მეკარის როლი. იგი გუნდის პირველი მცველია და მისი უკანასკნელი იმედი მას შემდეგ, რაც ყველა შეცდა და ბურთი ფარულად მიეჭანება კარისაკენ. ეს მეკარის თამაშს რომანტიკულს ხდის და მოითხოვს მისგან გამბედაობას, სიმტკიცეს, მოსაზრებულობასა და გამჭრიახობას. ტყუილად კი არ მღერიან:

მეი, მეკარეო, მზად იყავ
ბრძოლისათვის,
კართან გუშაგად ხარ დაყენებული...

ჩემს სიცოცხლეში ასობით მეკარე მინახავს სოხუმსა და სანტ-იაგოში, კიმრსა და სტოკჰოლმში, ჭაბუკთა მატჩებში და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლასით, მანერით, ტემპერამენტით, მაგრამ ერთმანეთს ჰგვანან თამაშის შინაარსით. ისინი ყველანი ზუსტად უნდა არჩევდნენ ადგილს კარში, გრძნობდნენ შტანგებს ისე, რომ არ უყურებდნენ მათ, უნდა ხტოდნენ, ბურთზე გამოდიოდნენ, პაერში იკერდნენ მას, ხოლო უკანასკნელ წამს ფეხებში უვარდებოდნენ ფორვარდს.

მაღალი ტექნიკა და თავდაჭერილობა მაღალი ოსტატობის გადამწყვეტი პირობებია.

ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტებშიც კი მოედანზე მოთამაშეთა ნერვები ისე არ არის დაძაბული, როგორც მეკარის ნერვები, ეს სიმპონა, რომლებიც მზად არის ყღერდეს სპორტული სრულყოფილობის უმაღლეს ნოტებზე, მაგრამ რომლებიც შეიძლება კიდევაც გაწყდეს, თუ მეტისმეტად დაჭიმე. მსახიობი, სცენაზე რომ გამოდის, ყოველთვის ღელავს, გამოცდილი მსახიობიც კი. მან თავისი როლი ისე უნდა შეასრულოს, რომ დარბაზში მყოფ მაყურებელთაგან ვერავინ ვერ იგრძნოს სიყალბე, არაბუნებრივობა, ხელოვნურობა.

მეკარის სცენა კარია, რომელშიც ყოველი სანტიმეტრი დაცული უნდა იყოს ბურთებისაგან. მეკარე მას იცავს მრავალი ათასი მაყურებლის თვალწინ და, ოსტატობას რომ უჩვენებს, არ შეიძლება სიყალბე დაუშვას. მეკარის სიყალბე გოლია. ფლობდე თავის ნერვებს, მათი ბატონ-პატრონი იყო და „დაბმული" ეყავდეს — ეს დიდი ხელოვნებაა. მაგრამ თავდაჭერილობა სრულებითაც არ გამორიცხავს ლელვას, რომელიც ყოველ სპორტსმენს, ყოველ მოთამაშეს სჩევია. უფრო მეტიც: ღელვა უნარჩუნებს მას ცხოველმოქმედების იმ ზომას, რომელიც ეხმარება მეკარის ხელოვნების ყველა რთული ილეთის შესრულებაში.

მე მომიხდა მენახა სახელგანქმული ბრაზილიელი მეკარე ჟილმარი უბრალო, სრულიად უმნიშვნელო ამხანაგურ თამაშში. ეს იყო ამ ზაფხულს ჩილის პატარა ქალაქ ვინია-დელმარში წყნარი ოკეანის ნაპირზე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ბრაზილიელები თამაშობდნენ უკანასკნელ საკონტროლო მატჩს ადგილობრივ კლუბ „ევერტონთან", რომლის ფეხბურთელები ყველაფერში ჩამოუვარდებოდნენ ბრაზილიელ ვირტუოზებს. მაგრამ ჟილმარი მაინც ღელავდა: მეკარის ხელთათმანებს თითქოს თითებს აგლეჯდა და სულ მუდამ ცმუკავდა ადგილზე. იქვე კარის ბადეს უკან მდგომი მწვრთნელი მარეირა ჩაულაპარაკებდა ხოლმე:

— მშვიდად, მშვიდად...

ჟილმარი ხელებს დაუშვებდა, თითქოს მოეშვებოდა, შემდეგ კი კვლავ იწყებდა ცმუკავს და ხელთათმანებისათვის თითქოს თითების წაგლეჯას.

მე მეჩვენებოდა, რომ მწვრთნელის სიტყვები ზედმეტი იყო და მეკარეს არ ესმოდა. მე ვუთხარი ეს მარეირას, და მან ღიმილით ამიხსნა, რომ ცდილობს კორექტირება შეიტანოს ჟილმარის ოდნავ ღელვაში. მისცეს მას საჭირო განწყობა, მაგრამ მეტი არა, თორემ ის ხომ მხურვალესისხლიანი ბრაზილიელია.

ეს ეპიზოდი გამახსენდა, როცა ამას წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე ვუყურებდი სერგო კოტრიკაძის თამაშს. იგი ისე იქცეოდა, როგორც ჟილმარი, ერთი შეხედვით იმ ოდნავი მღელვარებით, რომელიც ეტყობა, ეხმარებოდა მას ჯეროვნად განწყობილიყო. ხოლო მატჩი სერიოზული, ბეჭრის გადამწყვეტი იყო თბილისელ და კიეველ თანაკლუბელთა მეტოქეობაში, მწვავე. მოულოდნელი და საშიში დარტყმებით აღსავსე, განსაკუთრებით იმ ფლანგიდან, რომელზეც ვ. ლობანოვსკი მოქმედებდა.

ბევრჯერ მინახავს ამ ახალგაზრდა, ტანადი, ტემპერამენტიანი მეკარის თამაში. იგი ყოველთვის იპყრობდა უყურადღებას არა მარტო თავისი ორგანზომილებითა და მაღალი შემსრულებლობითი ოსტატობით, არამედ სიფიცხითაც, რომელიც ეხმარებოდა შეექმნა თამაშის განსაკუთრებული, მიმზიდველი ნახატი.

სერგო კოტრიკაძეს შესაძლებლობა ჰქონდა არა მარტო დაკვირვებოდა მარდანიას თუ იაშინს. პირაეიის თუ მასლაჩენკოს მოქმედებას, არამედ კიდევაც ესწავლა მათგან საჯარიმო მოედანზე თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა.

თუმცაღა, დროა წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა მეკარე.

ეზოში თამაში აკრძალეს. მეტისმეტად ბევრი მინა ჩამტვრია და ბევრი სუფთა თეთრეული დაალაქავა ბურთმა. საჭირო გახდა ქუჩაში გადასვლა. იქ მეტი სიმშვიდეა.

სოფელ დალალაციხიდან ჩამოსული შავგვრემანი, თმახუჭუჭა მოზარდი გმირულად იქცეოდა: ასფალტზე ან ქვაფენილზე ფეხებში უვარდებოდა მეგობრებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეგდოთ ბურთი წარმოსახულ კარში.

ერთხელ ქუჩაზე ჩაიარა სახელგანთქმულმა დინამოელმა მეკარემ დოროხოვმა. იგი განზე გადგა და აკვირდებოდა ბიჭუნების თამაშს — „ეზო ეზოს წინააღმდეგ". მოეწონა მათი აზარტი. მათი ცდები — მიებაძათ თვით პაიკაძისათვის. მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ბიჭუნა, ცარცით მოხაზულ კარს რომ იცავდა.

— რა გქვია?

— სერიოჟა კოტრიკაძე.

— ხვალ მოდი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში, იქ ნამდვილ მოედანზე, ბალახზე ვითამაშებთ.

...ახლა, როცა სერიოჟა 26 წლისაა, იგი მხოლოდ ღიმილით იხსენებს იმ გრძნობას, ჭაბუკის გულის იმ თრთოლვას, რომელიც მაშინ მოსვენებას არ აძლევდა არც დღისით, არც ღამით და „მსოფლიოს მთელი ამაობა" დაჩრდილა.

35-ე სკოლაში იმ წლებში თავს უყრიდნენ ნიჭიერ, ფეხბურთის მოყვარულ ბიჭუნებს. აწარავლიდნენ მათ ბურთის ფლობის ტექნიკას, ტაქტიკის საფუძვლებს, თვალყურს ადევნებდნენ მათ სწორ ფიზიკურ განვითარებას. მაგრამ ყოველივე ეს ერთი პირობით იყო — თუ ყველა საგანში წარმატება ეკნებოდათ.

სერიოჟა კოტრიკაძე 35-ე სკოლაში გადავიდა და სწავლობდა მეკარეთა ჯგუფში, რომელსაც დოროხოვი ხელმძღვანელობდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა ლენინის სახელობის სტადიონზე. დაჭერაზე წვრთნას გადიოდნენ აგურის კედლიდან არეკლილი ბურთებით. რაც უფრო ძლიერია დარტყმა, მით უფრო მოულოდნელია არეკვლა, მით უფრო ძნელია ბურთის დაჭერა. შემდეგ გადიოდნენ წვრთნას, თუ როგორი იყო რეაქცია ბურთის ფრენაზე: ძლიერი, მოულოდნელი დარტყმები ხდებოდა მეკარის ზურგს უკნიდან, თანაც სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა სიმაღლეზე. დასახარელ დოროხოვი თოკით დაკიდებდა ხოლმე ბურთს ორ მეტრზე მოსწავლეებისაგან მიწის ზემოთ ნახევარ მეტრზე, და წინადადებას აძლევდა ბიჭებს სცემოდნენ ხოლმე ვითომ დარტყმით ნატყორცნ ბურთს.

ერთი სიტყვით, ეს იყო ფეხბურთის სკოლა სწავლების ყველა იმ კანონის მიხედვით, რომლებიც მაშინ არსებობდა. იქ მაშინ სწავლობდნენ მ. მესნი, შ. იამანიძე, ზ. კალიევი, ა. ჭკუასელი.

სერიოჟა კოტრიკაძე ოსტატობის ცდაობ კიბეზე საფეხურიდან საფეხურზე ადიოდა, და არც ერთი საფეხური იოლი არ ეჩვენებოდა.

განსაკუთრებით დაახსომდა მატჩი, რომელიც 1957 წლის გაზაფხულზე ითამაშეს. თბილისელები მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებს იღებდნენ. პირველად ჩადგა სერიოჟა ძირითადი შემადგენლობის კარში, იმიტომ რომ იმ დღეს სხვა მოთამაშე არ იყო. და როგორც კი გაისმა სასტვენის ხმა, მან დაინახა ვ. შაბროვი, გ. ფედოსოვი, ა. მამედოვი. სერიოჟა ღელავდა, ცმუკავდა, განუწყვეტლივ ისწორებდა ხვიტერს, ცდილობდა გეტრები აეწია, თუმცა ეს სრულებითაც არ იყო საჭირო. და აი მოფრინავს მაღალი კიდული ბურთი. სერიოჟამ სწორად ეაიანგარიშა, კარიდან გამოვიდა და ნახტომით ეფექტურად აიღო იგი. ეს ისე ლამაზი იყო, რომ ტრიბუნებზე ტაშმა იგრიალა, კოტრიკაძე კი ოდნავ მოეშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი კვლავ გამოვიდა კარიდან, ფეხებში ჩაუვარდა ალექსერ მამედოვს და იხსნა გუნდი თითქოს გარდუვალი გოლისაგან. კვლავ გაისმა მხურვალე ტაში. და ყოველთვის ტრიბუნები ამშვიდებდნენ და რწმენას განუმტკიცებდნენ მეკარეს.

მას შემდეგ ფეხბურთის ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვინ არ უშენდა სერგო კოტრიკაძის კარს! იყვნენ ინგლისელებიც კევანი და ბობი სმიტი, ფრანგები კოპა და პიანტონი, ავსტრიელები ჰოფი და ნემეცი, აქ იყვნენ აგრეთვე ირანელები, ბელგიელები, ლუქსემბურგელები, ბრაზილიელები, კუბელები, ბოლივიელები, ეკვადორელები, კოსტარიკელები. ყველას ვერ ჩამოთვლი!

მეკარეს დაახსომდა წარუმატებლობა, რომელიც ინგლისში განიცადა. ეს იყო ორი წლის წინათ, როცა თბილისელები სსრ კავშირის თასის ფინალში საწყენი წაგების შემდეგ ბრიტანეთის კუნძულებზე გაფრინდნენ. სამი მატჩიდან დინამოელებმა ორი წააგეს, ხოლო ერთი ფრედ დაამთავრეს. მაგრამ სამივე თამაშში ზუსტად ხუთ-ხუთი ბურთი გაუშვეს თავიანთ კარში.

თბილისელთა კარის ეს ხუთბალიანი შერეცვა გაკვეთილი იყო არა მარტო და არა იმდენად ახალგაზრდა მეკარისათვის, რომელმაც მატჩები საერთოდ კარგად ჩაატარა, რამდენადაც მთელი გუნდისათვის, რომელმაც იგრძნო, რომ დაცვა როგორღაც მოიოკვლებდა. დამცველთა უსიტყმო თამაშის ეანგი სჭამდა თავდაცვას.

ავადმყოფობის დასაძლევად საჭირო იყო დიაგნოზის დასმა და მკურნალობის ფორმის განსაზღვრა.

ბევრი ეჭვი მინახავს ამ ახალგაზრდა, ტანადი, ტემპერამენტიანი მეკარის თამაში. იგი ყოველთვის იპყრობდა უყურადღებას არა მარტო თავისი ორგანზომილებითა და მაღალი შემსრულებლობითი ოსტატობით, არამედ სიფიცხითაც, რომელიც ეხმარებოდა შეექმნა თამაშის განსაკუთრებული, მიმზიდველი ნახატი.

სერგო კოტრიკაძეს შესაძლებლობა ჰქონდა არა მარტო დაკვირვებოდა მარდანიას თუ იაშინს. პირაეიის თუ მასლაჩენკოს მოქმედებას, არამედ კიდევაც ესწავლა მათგან საჯარიმო მოედანზე თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა.

თუმცაღა, დროა წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა მეკარე.

ეზოში თამაში აკრძალეს. მეტისმეტად ბევრი მინა ჩამტვრია და ბევრი სუფთა თეთრეული დაალაქავა ბურთმა. საჭირო გახდა ქუჩაში გადასვლა. იქ მეტი სიმშვიდეა.

სოფელ დალალაციხიდან ჩამოსული შავგვრემანი, თმახუჭუჭა მოზარდი გმირულად იქცეოდა: ასფალტზე ან ქვაფენილზე ფეხებში უვარდებოდა მეგობრებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეგდოთ ბურთი წარმოსახულ კარში.

ერთხელ ქუჩაზე ჩაიარა სახელგანთქმულმა დინამოელმა მეკარემ დოროხოვმა. იგი განზე გადგა და აკვირდებოდა ბიჭუნების თამაშს — „ეზო ეზოს წინააღმდეგ". მოეწონა მათი აზარტი. მათი ცდები — მიებაძათ თვით პაიკაძისათვის. მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ბიჭუნა, ცარცით მოხაზულ კარს რომ იცავდა.

— რა გქვია?

— სერიოჟა კოტრიკაძე.

— ხვალ მოდი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში, იქ ნამდვილ მოედანზე, ბალახზე ვითამაშებთ.

...ახლა, როცა სერიოჟა 26 წლისაა, იგი მხოლოდ ღიმილით იხსენებს იმ გრძნობას, ჭაბუკის გულის იმ თრთოლვას, რომელიც მაშინ მოსვენებას არ აძლევდა არც დღისით, არც ღამით და „მსოფლიოს მთელი ამაობა" დაჩრდილა.

35-ე სკოლაში იმ წლებში თავს უყრიდნენ ნიჭიერ, ფეხბურთის მოყვარულ ბიჭუნებს. აწარავლიდნენ მათ ბურთის ფლობის ტექნიკას, ტაქტიკის საფუძვლებს, თვალყურს ადევნებდნენ მათ სწორ ფიზიკურ განვითარებას. მაგრამ ყოველივე ეს ერთი პირობით იყო — თუ ყველა საგანში წარმატება ეკნებოდათ.

სერიოჟა კოტრიკაძე 35-ე სკოლაში გადავიდა და სწავლობდა მეკარეთა ჯგუფში, რომელსაც დოროხოვი ხელმძღვანელობდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა ლენინის სახელობის სტადიონზე. დაჭერაზე წვრთნას გადიოდნენ აგურის კედლიდან არეკლილი ბურთებით. რაც უფრო ძლიერია დარტყმა, მით უფრო მოულოდნელია არეკვლა, მით უფრო ძნელია ბურთის დაჭერა. შემდეგ გადიოდნენ წვრთნას, თუ როგორი იყო რეაქცია ბურთის ფრენაზე: ძლიერი, მოულოდნელი დარტყმები

საპრიზო ადგილები განაწილდა

კიევის სპორტის სასახლეში დაუშვეს საკავშირო გუნდური ჩემპიონატის ალაში კლასიკურ ჭიდაობაში. 21 გუნდი იბრძოდა ოქროს მედლის მოსაპოვებლად. ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაწყვეტა არმიისა და „ბურევესტნიკის" გუნდების შეხვედრას. გიმარჯვეს არმიელებმა 16:13. მესამე ადგილი დაიკავეს დინამოელებმა.

„ვარსკვლავები" — აუტსაიდერები

ნიუ-იორკში მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის.

ტურნირი დაიწყო მოულოდნელობით. მაგალითად, რეშევსკიმ დამარცხება განიცადა კალიფორნიის ახალგაზრდა ჩემპიონთან ედისონთან. ფიშერს უიმედო პოზიცია ჰქონდა მედნისთან. მან ორჯერ გადადო პარტია, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია მედნისი, რომელსაც 2 შესაძლებლიდან 2 ქულა აქვს. ამერიკის შეერთებული შტატების „ვარსკვლავები" — ფიშერი და რეშევსკი აუტსაიდერთა რიგებში არიან.

უცხოეთის სტადიონებზე

□ სეზონის ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა იყო რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოს შტატის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს უდიდეს სტადიონზე „მარაკანაზე" გაიმართა. შეჯიბრება შეუპოვარი და მრავალგოლიანი აღმოჩნდა. სულ გატანილი იქნა 10 ბურთი. გიმარჯვეს რიო-დე-ჟანეიროს ფეხბურთელებმა ანგარიშით 6 : 4.

□ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ამ ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელშიც არ შევლენ მსოფლიოს ჩემპიონები — რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოს შტატის ფეხბურთელები. ახალი ნაკრები ტურნეს გაამართავს ევროპაში — გამოვა პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბელგიასა, ჰოლანდიაში, შვეიცარიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, ინგლისში, ისრაელში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

□ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და თურქეთის ჩემპიონები — „ჰონვედისა" და „დარუსფაკის" სკასუბო გუნდები. მატჩი წარიმართა უნგრელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 85 : 52 (34 : 26).

□ ბუქარესტში მსოფლიოს ჩემპიონს რუმინეთის ხელბურთელთა გუნდს სტუმრად ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურთელები.

დასაწყისში ბრძოლა ჩემპიონის სასარგებლოდ არაფერს მეტყველებდა, მაგრამ მეორე ტაიმში რუმინელებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა, შემდეგ დაწინაურება და მატჩის მოგება 17 : 14.

პირველი იპვსეული

„ა" კლასის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივებმა ზამთრის საკავშირო ტურნირის პირველი ეტაპის ფინიშის ხაზი გადაკვეთეს, გამოვლინდა უძლიერესები, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ბრძოლა.

როგორც ცნობილია, თბილისში ერთმანეთს ეცილებოდა 12 გუნდი. მასპინძლებისათვის — თბილისის „დინამოსა" და „პოლიტექნიკისათვის" პირველი ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრებში ბრძოლა ადვილი როდი იყო, რადგან ისინი კაუნასის შეჯიბრებიდან ორ-ორი დამარცხებით ჩამოვიდნენ და ჩამორჩებოდნენ ლიდერებს.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში დინამოელებმა წარმატებით ჩაატარეს. „დინამოს" კოლექტივი ერთად-ერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელსაც აქ დამარცხება არ განუცდია.

გათამაშების ცხრილში მეტი სიცხადის შესატანად და გუნდების მდგომარეობის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი ტურის მატჩებს, რომლებიც გუშინ შედგა სპორტის სასახლეში.

ყურადღებას იპყრობდა ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის ლენინგრადის „სპარტაკისა" და სვერდლოვსკის „ურალმაშის" შეხვედრა. სვერდლოვსკელები იბრძოდნენ უფრო აქტიურად, ინიციატივიანად, ვიდრე მათი მეტოქე და გიმარჯვეს ანგარიშით 68:61. ამ დამარცხებით სპარტაკელებმა, რომლებიც დიდხანს იყვნენ სატურნირო ცხრილის სათავეში ერთგვარად გაუარესეს პოზიცია.

მოულოდნელი აღმოჩნდა კაუნასის „ჟალგირისისა" და ოდესის „ბურევესტნიკის" მატჩი. ოდესელებმა კარგი თამაში აჩვენეს და შედეგიც მათ სასარგებლოდ მეტყველებს — 44:40. სსრ კავშირის ჩემპიონს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ამჯერადაც აკლდა წამყვანი მოთამაშეები, მაგრამ გუშინდელ მატჩში ფრუნზეს სკიფ-თან მაინც შეძლო წარმატების მოპოვება — გიმარჯვა ანგარიშით 46:37.

თბილისის „ალიტალიასა" — „ბელორუსკა" ჰქონდა მინსკის სპარტაკელებთან. აქ თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ 90:66. მოსკოვის „ბურევესტნიკმა" მოუგო დუშანბეს „ტაჯიკისტანს" 72:59.

უკანასკნელი შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" მატჩი იყო. პირველი წუთები სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ დინამოელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ 33:28 დაამთავრეს. თბილისელთა უპირატესობა მეორე ტაიმშიც ცხადი იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ 83:67.

ამრიგად, პირველი ეტაპის დასკვნითი შეხვედრები თბილისის ჭგუფში ამოიწურა. შეგროვილი ქულების მიხედვით პირველ ექვსეულში არიან: თბილისის „დინამოს", სვერდლოვსკის „ურალმაშის", ლენინგრადის „სპარტაკის", ცსკა-ს, კაუნასის „ჟალგირისისა" და ტარტუს „კალევის" გუნდები.

ახალი რეკორდი

თბილისის საცურავ აუზში გაიმართა შეჯიბრება ცურვასა და წყალში ხტომაში საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ შვიდმა სპორტსმენმა შეასრულა ოსტატის ნორმატივი. მოსწავლე ე. ღიბრაძემ 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში აჩვენა დრო 2 წუთი და 49,6 წამი და გოგონათა შორის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

რ. ს. სანაძე

გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1919 წლიდან **რაზდენ სპირიდონის-ძე სანაძე.**

რ. სანაძე დაიბადა 1880 წელს ქუთაისის მაზრის დ. ხონში (ამჟამად ქ. წულუკიძე) ღარიბი გლეხის ოჯახში. სიღარიბის გამო მას არ უსწავლია. ხელმოკლეობამ და გაჭირვებამ აიძულა ადრევე დაეწყო შრომითი საქმიანობა. ზეინკლის ხელობის შესწავლის შედეგად 1905 წელს მუშობას იწყებს ქუთაისის კონიაკის ქარხანაში მემანქანის თანაშემწედ. აქ რ. სანაძე უკავშირდება არალეგალურად მოქმედ ბოლშევიკებს და აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მომრაობაში. როგორც შემჩნეული და მეფის ხელისუფლებისათვის არასაიმედო პიროვნება, მისი ქუთაისში დარჩენა შეუძლებელი ხდება და 1907 წელს სანაძე მუშობას იწყებს ალაგირდის სპილენძის სამადნეში. 1912 წლიდან იგი ჭიათურაშია, სადაც განაგრძობს მუშობას მარგანეცის საწარმოებში. აქტიურად მონაწილეობს პროფკავშირების მუშაობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რ. სანაძე ენერგიულ მუშაობას ეწევა პარტიული და სამეურნეო ხაზით. მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ი. ი. შენგელია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიის ფაკულტეტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის დოცენტმა ი ო ს ე ბ ივანეს-ძე შენგელიამ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„სანიტარული საქმე საქართველოში (1801-1958 წწ.)".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა იოსებ ივანეს-ძე შენგელიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ეგზოტიკა

ცეცხლისმფრქვეველი მთები

კამჩატკის პეტროპავლოვსკში შექმნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ვულკანოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც მთელი რიგი სტაციონარული პუნქტები აქვს მოქმედი ვულკანების რაიონებში. ამას წინათ მუშაობა დაიწყო ახალმა — ავაჩინსკის სტაციონარმა, რომელიც ორ მოქმედ ვულკანს — ავაჩინსკისა და კორიაკის ვულკანებს შუა მდებარეობს. მეცნიერები, ძირითადად ნიჭიერი ახალგაზრდობა, ყოველმხრივ იკვლევენ ცეცხლისმფრქვეველი მთების მდგომარეობას.



სურათებზე: მარცხნივ — აი ასე „სუნთქავს" კარიმის ვულკანი ამოფრქვევის დროს! როგორც ხედავთ, ეს „შესწავლის ობიექტი" მეტად მრისხანეა. მარჯვნივ: ოპერატორი მიხეილ კამენეცკი და ლაბორანტი ნიკოლოზ კორჩაგინი მუშაობენ ავაჩინსკის ვულკანის რაიონში.

ფოტო ნ. ოგოროდოვისა და ი. მურავინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ყინვის „მეტოქე"

ყინვაში ავტომანქანის ამუშავება ძრავისათვის იგივეა, რაც ასი კილომეტრის გარბენა, — ხშირად გაიგონებთ ხოლმე მძღოლებისაგან — და ძრავიც მალე ცვდება მძღოლი იძულებულია გარაჟიდან გასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე მოვიდეს, რათა ცხელი წყლით გაახუროს მოტორი. ზოგიერთ ადგილებში კი ამისათვის იყენებენ ცეცხლს, სპეციალურ ნათურებს.

წელს ყინვები არ ასცდა ახალგაზრდა ქალაქს ბრატსკსაც. აქ არის ავტობაზა, საიდანაც ავტომანქანები შეუფერხებლად გადიან რეისზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღია ცის ქვეშ დგანან. მაგრამ ყინვა?

— იგი კარამატ კარიმოვმა დაამშინა, — ხუმრობით გეტყვიან მძღოლები. კარიმოვი პირველი კლასის მძღოლია, შესანიშნავი რაციონალიზატორი. ბრატსკის ჰესზე მუშაობის 7 წლის მანძილზე მას მრავალი საინტერესო წინადადება აქვს შეტანილი.

ყინვებს კი მძღოლებმა თავი დაალწიეს შემდეგნაირად.

ავტომანქანის რადიატორს უკეთდება კარიმოვის მიერ კონსტრუირებული ელექტრული თერმოელემენტი. იგი იღებს სულ ცოტა ენერგიას, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ რადიატორში ჩასხმული წყალს მთელი ღამის განმავლობაში შეუნარჩუნოს საჭირო ტემპერატურა. კარიმოვის თერმოელემენტი მუშაობს ჩვეულებრივ ქსელზეც, აგრეთვე მოძრავ ელექტროდანადგარზე. ამიტომ მოტორის გახურება შეიძლება ნებისმიერ ადგილას.

ვაგონები — ზღვაზე

კასპიის ზღვაზე ახალი საზღვაო ბორნის უკანასკნელი გამოცდები მიმდინარეობს. მასზე მოთავსებულია ოცდაათი 50-ტონიანი სარკინიგზო ვაგონი.

მალე ეს ბორანი — „საბჭოთა აზერბაიჯანი" რეისებს დაიწყებს ბაქოსა და კრასნოვოდსკს შორის. მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა წარმოებს გემის კიჩოდან, სადაც დამონტაჟებულია სპეციალური საყრდენები სანაპირო კიდეული ხიდისათვის. ეს ხიდი ბორნის სარკინიგზო ლიანდაგს აერთიანებს ნაპირის ლიანდაგთან. ბორნის სიჩქარე საათში 29 კილომეტრია.

ტექნიკა



სასიხარულო ცნობები

□ სიღნაღი. (საკ. კორ.). სიღნაღის რაიონში წელს ათზე მეტი ახალი მაღაზია და სავაჭრო ფარდული გაიხსნა.

ამას წინათ ქალაქის კოოპერატივმა რაიონის ცენტრში — სიღნაღში გახსნა უგამყიდველო მაღაზია.

□ ზუგდიდის რაიონულ ცენტრში დამთავრდა ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის აგურის ქარხნის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

ბ. ალშიბაია.

„საქართველოს კომუნისტი" № 12

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის რევოლუციური პროგრამა; **ვ. მერკვილაძე** — თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა დიადი კავშირი; **ნ. ჩერქეზიშვილი** — მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა; **ა. ბექაური** — მელიორაციის ამოცანები და რეზერვები თეთრი წყაროს რაიონში; **შ. ამირანაშვილი** — დიდი ქართველი მხატვარი; **მ. კაკელიძე** — შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში და მისი ამაღლების გზები; **ს. თავდგიერიშვილი** — შრომის დანორმვა და ანაზღაურება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჟურნალს აქვს განყოფილებები **პარტიული ცხოვრება, პასუხი შეკითხვაზე** და **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.**

„კომუნისტის" ნომერი

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 28 დეკემბერს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

მეგობროების საღამო

ორმოცი წლის წინათ, 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სუფლად საკავშირო ყრილობაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მას შემდეგ დღითი დღე მტკიცდება სხვადასხვა ეროვნებათა ძმური მეგობრობა.

ამ ისტორიულ თარიღს —საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 40 წლისთავს — მიეძღვნა ხალხთა მეგობრობის საღამო, რომელიც პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა.

19 ეროვნების წარმომადგენელი სწავლობს ამ ინსტიტუტში. საა ქ ტ ო დარბაზი, სადაც ისინი შეიკრიბნენ, საზეიმოდ იყო მორთული. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. მიქაბერიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები ვ. ესაიაშვილი, ა. სტეკლოვი, დოცენტი პ. ღუდუშაური.

თავის გამოსვლებში სტუდენტებმა: ქართველმა — დ. კოტორაშვილმა, რუსმა — ტ. დენისოვამ, უკრაინელმა — ს. ფედოსენკომ, აზერბაიჯანელმა — ა. სამედოვმა (აზერბაიჯანული ფაკულტეტი), სომეხმა ს. შაგინიანმა (სომხური ფაკულტეტი), თავის მშობლიურ ენებზე ილაპარაკეს იმ საყოველთაო ზრუნვაზე, რომელა